

ავთანდილ კოჭლამაზაშვილი, მარინა გიორგობიანი

ქართული ანტიოქსიდანტი გეომინი ფორტე ათეროსკლეროზის თერაპიულ ასპექტში საქართველოს - საზღვარგარეთის ქვეყნების თანამეგობრობის საერთაშორისო საზოგადოების პრევენციული კარდიოლოგიის სექტორი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, შიგენისა და სამედიცინო ეკოლოგიის დეპარტამენტი. თბილისი, საქართველო
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2024.04.06>

AVTANDIL KOTCHLAMAZASHVILI, MARINA GIORGOBIANI

GEORGIAN ANTIOXIDANT GEOMIN FORTE IN THE THERAPEUTIC ASPECT OF ATHEROSCLEROSIS

Georgian Foreign Countries Friendship International Society Preventive Cardiology Sector.
Tbilisi State Medical University, Department of Hygiene and Medical Ecology. Tbilisi, Georgia

SUMMARY

The aim of our work was to study the antilipid effect of the natural antioxidant drug Geomin Forte in 30 patients (28 men, 2 women aged 50 to 75 years) with high levels of total cholesterol, low-density cholesterol (β), very low-density cholesterol (pre- β) and a high risk of triglycerides (TG). Patients received Geomin Forte in therapeutic doses of 500 mg, 2 capsules 3 times a day for one month. The treatment course was repeated every four months for one year.

The conducted research gives us reason to conclude: 1. Geomin Forte improves the lipid profile; 2. Geomin Forte has a beneficial effect on total cholesterol levels; 3. Geomin Forte has no side effects due to its natural architectonic.

Keywords: Geomin Forte, atherosclerosis, antioxidant

ჩვენი ეპოქის ზეტეენიკურმა პროგრესმა მსოფლიოს უამრავი პრობლემა გაუჩინა: არაჯანსაღი ეკოლოგიური გარემო, ცხოვრების ჩქარი ტემპი, უარყოფითი ემოციები, სტრესული სიტუაციები, ჰიპოკინეზია, დროის დეფიციტი, არასრულფასოვანი საკვები, ბიოლოგიური რიტმის მოშლა და ასე შემდეგ. ამიტომ დღეს ხშირად გვსმის „მინორული“ სიტყვები, როგორცაა, ათეროსკლეროზი, სტენოკარდია, ინფარქტი, ინსულტი, ავთვისებიანი სიმსივნური დაავადებანი თუ ნაადრევი სიბერე.

ათეროსკლეროზი ძალიან რთული და საშიში დაავადებაა, მის მკურნალობასა და პრევენციაში ლიპიდური ცხიმოვანი ცვლის მართვაა მთავარი. ადამიანის ორგანიზმში ლიპიდები მხოლოდ სამი ფორმით არის წარმოდგენილი - ქოლესტერინის, ფოსფოლიპიდებისა და ტრიგლიცერიდების სახით.

ჩვენი შრომის მიზანი იყო შევესწავლა ბუნებრივი ანტიოქსიდანტური პრეპარატის გეომინი ფორტეს ანტილიპიდური მოქმედება 30 პაციენტზე (28 კაცი, 2 ქალი, 50-დან - 75 წლამდე), რომელთაც აღენიშნებოდათ საერთო ქოლესტერინის, დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინის (β), ძალიან დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინისა (პრე- β) და ტრიგლიცერიდების (TG) მაღალი რისკი.

გეომინ ფორტეს პაციენტები ღებულობდნენ თერაპიულ დოზებში, 500 მგ., 2 კაფსულა დღეში 3-ჯერ, ერთი თვის მანძილზე. მკურნალობის კურსი მეორედებოდა ყოველ მეოთხე თვეს, დაკვირვების ხანგრძლივობა შეადგენდა ერთ წელიწადს.

რას წარმოადგენს გეომინი ფორტე? გეომინი ფორტე არის ქართული, ფართო სპექტრის ანტიოქსიდანტური პრეპარატი, რომელიც მთელი რიგი დაავადებების დროს გამოიყენება. მასში შემავალ უჯრედულ დონეზე მოქმედი ბუნებრივი მინერალი ცეოლითი - კლინოპტილოლიტი

საქართველოშია მოპოვებული. გეომინი ფორტეს ანტილიპიდური მოქმედების შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს ჩვენს მიერ ჩატარებული მისი მონოთერაპიული თუ კომბინირებული გამოყენების მეცნიერულ-პრაქტიკული გამოკვლევები [1,2,3].

გეომინი ფორტეთი ჩატარებულმა, ეტაპობრივმა ანტილიპიდურმა თერაპიამ ასეთი შედეგი გვაჩვენა: საერთო ქოლესტერინი დაუბრუნდა ნორმას 53%-ში (16 პაციენტი), დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინი - 43%-ში (13 პაციენტი), ძალიან დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინი - 36,6%-ში (11 პაციენტი), ტრიგლიცერიდების უმნიშვნელო დაქვეითება არა ნორმაში აღინიშნა მხოლოდ 20%-ში (6 პაციენტი).

ჩატარებული გამოკვლევა გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ:

1. გეომინი ფორტე აუმჯობესებს ლიპიდურ პროფილს.
2. გეომინი ფორტე უპირატესად საერთო ქოლესტერინზე მოქმედებს.
3. გეომინი ფორტეს ბუნებრივი არქიტექტონიკიდან გამომდინარე გვერდითი მოვლენები არ გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოჭლამაზაშვილი ა., გიორგობიანი მ., ორკოშნელი ა. ანტიოქსიდანტების დიოსკორიდისა და გეომინის კომბინირებული გამოყენება დისლიპიდემიის დროს. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, 2017(2):74-76.
2. კოჭლამაზაშვილი ა., გიორგობიანი მ. პარასამკურნალო პრეპარატების „სტატუსისა“ (მცენარეული) და „გეომინის“ (მინერალური) კომბინირებული გამოყენების როლი ქალებში ინფარქტის რეაბილიტაციის მიზნით. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, 2020(4):40-42.
3. კოჭლამაზაშვილი ა., გიორგობიანი მ. გეომინი ფორტეს მონოთერაპიული როლი ინფარქტის შემდგომ პერიოდში. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, 2022(7):143-145.

ავთანდილ კოჭლამაზაშვილი, მარინა გიორგობიანი

ქართული ანტიოქსიდანტი გეომინი ფორტე ათეროსკლეროზის თერაპიულ ასპექტში

საქართველოს - საზღვარგარეთის ქვეყნების თანამეგობრობის საერთაშორისო საზოგადოების პრევენციული კარდიოლოგიის სექტორი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, შიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის დეპარტამენტი. თბილისი, საქართველო

რეზიუმე

ჩვენი შრომის მიზანი იყო შეგვესწავლა ბუნებრივი ანტიოქსიდანტური პრეპარატის გეომინი ფორტეს ანტილიპიდური მოქმედება 30 პაციენტზე (28 კაცი, 2 ქალი, 50-დან 75 წლამდე), რომელთაც აღენიშნებოდათ საერთო ქოლესტერინის, დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინის (β), ძალიან დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინისა (პრე- β) და ტრიგლიცერიდების (TG) მაღალი რისკი. გეომინ ფორტეს პაციენტები ღებულობდნენ თერაპიულ დოზებში, 500 მგ. 2 კაფსულა დღეში 3-ჯერ, ერთი თვის მანძილზე. მკურნალობის კურსი მეორედებოდა ყოველ მეოთხე თვეს, ერთი წლის განმავლობაში.

ჩატარებული გამოკვლევა გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ: 1. გეომინი ფორტე აუმჯობესებს ლიპიდურ პროფილს; 2. გეომინი ფორტე უპირატესად საერთო ქოლესტერინზე მოქმედებს; 3. გეომინი ფორტეს ბუნებრივი არქიტექტონიკიდან გამომდინარე გვერდითი მოვლენები არ გააჩნია.

АВТАНДИЛ КОЧЛАМАЗАШВИЛИ, МАРИНА ГИОРГОБИАНИ
**ГРУЗИНСКИЙ АНТИОКСИДАНТ ГЕОМИН ФОРТЕ В ТЕРАПЕВТИЧЕСКОМ АСПЕКТЕ
АТЕРОСКЛЕРОЗА**

Сектор профилактической кардиологии международного общества содружества Грузии и зарубежных стран. Тбилисский государственный медицинский университет, департамент гигиены и медицинской экологии. Тбилиси, Грузия

РЕЗЮМЕ

Целью нашего труда являлась изучение антилипидного действия антиоксидантного препарата Геомин форте в 30 пациентах (28 мужчин, 2 женщин, от 50-ти до 75-и лет), у которых отмечался высокий риск общего холестерина, холестерина низкой плотности (β), очень низкого холестерина (пре- β) и триглицеридов (TG). Пациенты получали Геомин форте в терапевтических дозах, 500 г. по 2 капсулы 3 раза в день, на протяжении одного месяца. Курс лечения повторялся каждые четыре месяца, на протяжении одного года.

Проведенное исследование дает нам основание сделать вывод: 1. Геомин форте улучшает липидный профиль; 2. Геомин форте преимущественно влияет на общий холестерин; 3. Исходя из естественной архитектоники Геомин форте не имеет побочных эффектов.

